



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №06-01/90

ქ. ბათუმი

14 აგვისტო, 2019 წ.

ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკა დანართი 1-ის შესაბამისად;
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ფაკულტეტებს და ყველა სტრუქტურულ დამხმარე ერთეულს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მერაბ ხალვაში

ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომი „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა (შემდგომი „კვლევის პოლიტიკა“) ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს, უნივერსიტეტის წესდებას, მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამოქმედო გეგმას, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივ აქტებს და სხვა.

2. კვლევის პოლიტიკის მიზანია ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის, კვლევის ხარისხის ამაღლების, კვლევებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობის, სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების, კვლევის ეთიკის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი გარემოს შექმნა და განვითარება.

მუხლი 2. კვლევის პოლიტიკის მთავარი პრინციპები

1. კვლევის პოლიტიკის მთავარი პრინციპებია:

- ა) კვლევის ეთიკის კულტურა და კეთილსინდისიერება;
- ბ) აკადემიური, ინტელექტუალური თავისუფლება და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- გ) სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია;
- დ) ინტერნაციონალიზაცია.

2. კვლევის პოლიტიკის პრინციპების რეალიზების გზებია:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა;
- ბ) კვლევის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა;
- გ) სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- დ) ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა;
- ე) სწავლებაში კვლევის ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ვ) კვლევის ინტერნაციონალიზაცია;
- ზ) კვლევის ეთიკის და კვლევის კულტურის განვითარება.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

1. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება რეგულირდება:

ა) ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივნისის №46 დადგენილება);

ბ) ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესით (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება);

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

2.1. სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი (ქვემოთ ჩამოთვლილი ა) ან ბ) ქვეკუთხედის შესრულება):

ა) სამეცნიერო ნაშრომების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;

ბ) გამოგონების/პატენტის რეგისტრირება ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში.

2.2. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტების/გამოცემების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;

2.3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან/და საუნივერსიტეტო) მონაწილეობა ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;

2.4. სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა ან საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან სამეცნიერო სემინარების ჩატარება ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა ან სამეცნიერო გამოცემების რედაქციის წევრობა ან სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება ან მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტირობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება ან საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა ან სხვა.

3. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასებაზე პასუხისმგებელია ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორის მოადგილე, სამეცნიერო კვლევების სამსახური, დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი აქტივობები/ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, შედეგების ანალიზი, რეაგირების მექანიზმები და შესრულების ვადები, გაწერილია წინამდებარე პოლიტიკის თანდართულ ცხრილში - ფორმა 1).

მუხლი 4. პრიორიტეტული და ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები

1. ბსუ-ს მისიით განსაზღვრული პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევები ხორციელდება ბსუ-ში არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სამეცნიერო ცენტრებში:

- ა) ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი;
- ბ) აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი;
- გ) ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი;
- დ) ქართველოლოგიის ცენტრი.

2. კვლევების ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით, ფაკულტეტებზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევებისაგან ბსუ-ს აკადემიური საბჭო გამოყოფს და განსაზღვრავს **ძირითად სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს**, რომელიც ეფუძნება:

- ა) ქვეყნის მდგრადი განვითარების, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ძლიერების პრინციპებს;
- ბ) შესაბამისი მიმართულებით ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

3. **ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით** საქმიანობის შეფასება ხორციელდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- ა) Web of Science ბაზაში ინდექსირებული ტომსონ როიტერის იმპაქტ ფაქტორის მქონე ან Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებული ან ქართველოლოგიური მიმართულებით (საქართველოს ისტორია, ქართული ფილოლოგია, ქართული ფილოსოფია) გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი;
- ბ) საერთაშორისო ბაზების Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ან Google Scholar და სხვა ბაზების მიერ გამოყენებული ინდექსების (c, h) მაჩვენებელთა ანალიზი;
- გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობა: აბსტრაქტების/გამოცემების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში;
- დ) უცხოეთის კვლევით ცენტრებთან/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- ე) ახალგაზრდა მეცნიერთა/სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა.

4. ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება განისაზღვრება შემდეგი პროცედურებით:

- ა) ფაკულტეტის დეკანის ხელმძღვანელობით, დარგობრივი დეპარტამენტის ან/და პროგრამის ხელმძღვანელის შემადგენლობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპონენტების გათვალისწინებით სამეცნიერო საქმიანობის ანალიზი და ანგარიშის პროექტის მომზადება (ფორმა 2-ის შესაბამისად);

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და რექტორის მოადგილის კოორდინირებით, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ ანგარიშის პროექტზე დასკვნის მომზადება;

გ) სამუშაო ჯგუფის მიერ სამეცნიერო სამსახურის დასკვნის განხილვა და საბოლოო ანგარიშის პროექტის ფაკულტეტის საბჭოსათვის წარდგენა;

დ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ ანგარიშის პროექტის დამტკიცება და განსახილველად ბსუ-ს აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა;

დ) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ ანგარიშის პროექტების განხილვა, ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, შესაბამისი სამოქმედო გეგმის და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა (ფორმა 3-ის შესაბამისად).

5. ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის მინიმალური სამეცნიერო სტანდარტებისაგან (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი) განსხვავებული, სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული, მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას და მიღწეული შედეგების Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ გამოცემებში გამოქვეყნების ვალდებულებას;

ბ) ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის მინიმალური სამეცნიერო სტანდარტებისაგან (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის) განსხვავებული, სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სამეცნიერო პროდუქტის იმ სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენის ვალდებულებას, რომელთა გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) საანგარიშო პერიოდში მინიმუმ ერთი სამეცნიერო-საგრანტო პროექტის მოპოვების ან/და საერთაშორისო კვლევებში ბსუ-ს სახელით ჩართვის ვალდებულებას.

6. ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განსაზღვრას კოორდინაციას უწევს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და რექტორის მოადგილე (განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი აქტივობები/ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, შედეგების ანალიზი, რეაგირების მექანიზმები და შესრულების ვადები გაწერილია წინამდებარე პოლიტიკის თანდართულ ცხრილში - ფორმა 1).

მუხლი 5. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

ა) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებები;

ბ) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილება);

გ) პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №04 გადაწყვეტილება);

დ) სამეცნიერო კვლევების სამსახურის დებულება (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №15 გადაწყვეტილება);

ე) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილება);

ვ) საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №112 დადგენილება);

ზ) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილება);

თ) სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 ნოემბრის №01 გადაწყვეტილება);

ი) სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 ნოემბრის №02 გადაწყვეტილება);

კ) ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის №01-11/51 ბრძანება);

ლ) ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცება (ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანება);

მ) ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილება);

ნ) ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №02 გადაწყვეტილება).

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებია:

ა) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროექტების განხორციელების დაფინანსება;

ბ) შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება;

გ) ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ბსუ-ს პერსონალის მონაწილეობის დაფინანსება;

დ) სამეცნიერო-კვლევითი უნარების ამაღლების მიზნით დარგის უცხოელ და ადგილობრივ მკვლევართან სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების ორგანიზება და დაფინანსება;

ე) სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიური შეფასების გათვალისწინებით დასაქმებულის სავალდებულო ყოველწლიური აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის შემცირება ან/და ერთჯერადი სხვა ღონისძიების გამოყენება;

ვ) დასაქმებულის სამეცნიერო მონოგრაფიების გამოცემის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება (ბსუ-ს საგამომცემლო მომსახურება);

ზ) სამეცნიერო ფონდებთან და საგამომცემლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით საინფორმაციო (საკონსულტაციო) მხარდაჭერა.

3. ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმებია:

ა) უნივერსიტეტის შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების ზრდა;

ბ) პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის დაფინანსების ლიმიტის ზრდა;

გ) სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

დ) სამეცნიერო კვლევებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობის ზრდა.

4. ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მექანიზმებია:

ა) შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების (ახალგაზრდა მეცნიერთათვის) დაფინანსება;

ბ) შიდა მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა;

გ) სტუდენტური კვლევითი პროექტების დაფინანსება;

დ) ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და გამარჯვებულთა დაფინანსება;

ე) სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულის ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსება;

ვ) სტუდენტურ აქტივობებში (კონფერენცია, კონგრესი, სემინარი და სხვა) მონაწილეობის დაფინანსება;

ზ) სამეცნიერო აქტივობის გათვალისწინებით სახელობითი სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა.

მუხლი 6. სწავლებაში კვლევის ინტეგრირება

1. სწავლებაში კვლევის ინტეგრაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნას:

ა) ბსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების სასწავლო პროცესში ჩართულობით;

ბ) ბსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიების სასწავლო პროცესში გამოყენებით;

გ) ბსუ-ს მიერ განხორციელებული ან/და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში სტუდენტების ჩართულობით;

დ) სტუდენტური კვლევითი პროექტების დაფინანსებით;

ე) სამეცნიერო კონფერენციაში სტუდენტთა ჩართულობით;

ვ) სასწავლო კურსებში კვლევითი კომპონენტის გათვალისწინებით;

გ) სხვა სახის სამეცნიერო აქტივობებით.

მუხლი 7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი მექანიზმებია:
 - ა) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
 - ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების შემუშავება;
 - გ) ერთობლივი კვლევითი პროექტების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, პროექტების და საზაფხულო სკოლების ორგანიზება;
 - დ) სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება/გაცვლა/გაზიარება;
 - ე) ერთობლივი პუბლიკაციების გამოქვეყნება;
 - ვ) ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების გაზიარება;
 - ზ) სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება;

მუხლი 8. კვლევის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება

1. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- ა) ბსუ-ს ეთიკის კოდექსი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №02 გადაწყვეტილება);
- ბ) აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/71 დადგენილება);
- გ) ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №06-01/75 დადგენილება);
- დ) საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №112 დადგენილება);
- ე) სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციის ჩატარების დებულება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №02 დადგენილება);
- ვ) სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილება);
- ზ) მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილება);
- თ) ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №110 დადგენილება).




2. კვლევის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების - ნაშრომი, სტატია, წიგნი, პროექტი ან სხვა პროდუქტი - გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით (ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი, ბიბლიოგრაფიის, ციტირების, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი, კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულება ან/და სხვ.) დადგენილი ეთიკური ნორმების, სტანდარტების აღიარებას და დაცვას;






3. კვლევის კულტურის განვითარების და ცნობიერების ამაღლების მიზნით სამეცნიერო კვლევების სამსახური გეგმავს და სისტემატურად ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს;

4. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია კვლევის განმახორციელებელი პერსონალი, ხოლო დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგს და შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს სამეცნიერო კვლევების სამსახური, რომელთაც კოორდინაციას უწევს რექტორის მოადგილე (განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი აქტივობები/ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, შედეგების ანალიზი, რეაგირების მექანიზმები და შესრულების ვადები, გაწერილია წინამდებარე პოლიტიკის თანდართულ ცხრილში - ფორმა 1).

| განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი | განხორციელების პერიოდი (თვე) | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირები | პროცედურები და მექანიზმები | შედეგების ანალიზი და რეაგირება | |
|--|------------------------------|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|-----------------------|---|---|--|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | | | | |
| სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება | | | | | | | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; რექტორის მოადგილე; სამეცნიერო კვლევების სამსახური; ფაკულტეტის დეკანი; დეპარტამენტის ხელმძღვანელი. | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება მოიცავს: ✓ პროფესორის/მეცნიერის მიერ ბსუ-ში მოქმედ ელექტრონულ პორტალზე სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმის შევსებას; ✓ შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ თვითშეფასების თითოეული კომპონენტის შესაბამისი აქტივობების დადასტურებას; ✓ გასული კალენდარული წლის მონაცემების საფუძველზე საბოლოო შეფასების განსაზღვრას; | მონაცემთა თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი; რეკომენდაციების შემუშავება; |
| ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განსაზღვრა | | | | | | | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; რექტორის მოადგილე; | ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა მოიცავს: ✓ სამეცნიერო საქმიანობის ანალიზი და ანგარიშის პროექტის მომზადება; ✓ სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ ანგარიშის პროექტზე დასკვნის მომზადება; ✓ ფაკულტეტის საბჭოს მიერ ანგარიშის პროექტის დამტკიცება და განსახილველად | ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგის გეგმის მომზადება |

| | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|---|--|
| | | | | | | | | | | <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> <p>ფაკულტეტის დეკანი;</p> <p>დეპარტამენტის ხელმძღვანელი;</p> | <p>ბსუ-ს ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, შესაბამისი სამოქმედო გეგმის და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა;</p> <p>✓ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, შესაბამისი სამოქმედო გეგმის და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა.</p> | |
| <p>შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება;</p> | | | | | | | | | | <p>რექტორი;</p> <p>რექტორის მოადგილე;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> <p>საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი(ები)</p> | <p>✓ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების შესაბამისად საკონკურსო კვოტების განსაზღვრა;</p> <p>✓ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;</p> <p>✓ პროექტის გამოცხადება და ჩატარება;</p> <p>✓ გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელებთან ხელშეკრულებების გაფორმება.</p> | <p>შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი;</p> <p>გამარჯვებული საგრანტო პროექტების მონიტორინგის გეგმის მომზადება</p> <p>საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება</p> |
| <p>ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ბსუ-ს პერსონალის</p> | | | | | | | | | | <p>რექტორი;</p> <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;</p> | <p>✓ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით სამივლინებო ლიმიტების განსაზღვრა;</p> <p>✓ საფაკულტეტო დონეზე დაფინანსების კრიტერიუმის განსაზღვრა, განაცხადის წარდგენის და განხილვის ვადების დადგენა;</p> | <p>საერთო საფაკულტეტო ანგარიშის აკადემიურ საბჭოზე განხილვა;</p> |


| | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|-----------------------------------|
| <p>მონაწილეობის დაფინანსება</p> | | | | | | | | | | <p>რექტორის მოადგილე;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> <p>ფაკულტეტის დეკანი;</p> <p>დეპარტამენტის ხელმძღვანელი;</p> <p>დაფინანსებული პირი</p> | <p>✓ დადგენილი წესის და განხორციელების ვადების შესაბამისად დაფინანსების მონიტორინგი; </p> <p>✓ დაფინანსებული პერსონალის ინდივიდუალური ანგარიშის მოსმენა; </p> | <p>რეკომენდაციების შემუშავება</p> |
| <p>სამეცნიერო-კვლევითი უნარების ამაღლების მიზნით დარგის უცხოელ და ადგილობრივ მკვლევარებთან სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების ორგანიზება</p> | | | | | | | | | <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;</p> <p>რექტორის მოადგილე;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> <p>ფაკულტეტის დეკანი;</p> | <p>✓ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის საერთო წლიური ბიუჯეტის განსაზღვრა; </p> <p>✓ განსახორციელებელი ღონისძიებისა და ღონისძიების ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვის მომზადება;</p> | <p>დაგეგმილი ღონისძიებების მონიტორინგის გეგმის მომზადება</p> <p>შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება</p> | |

| | | | | | | | | | | | | |
|--|--|--|--|--|--|--|--|--|-------------------------------------|---|--|--|
| <p>სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიური შეფასების გათვალისწინებით დასაქმებულის სავალდებულო ყოველწლიური აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის შემცირება ან/და ერთჯერადი სხვა ღონისძიების გამოყენება</p> | | | | | | | | | | <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;</p> <p>რექტორის მოადგილე;</p> <p>სასწავლო პროცესის დეპარტამენტი</p> | <p>✓ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; </p> <p>✓ აკადემიური დატვირთვის შემცირება რეკომენდაციების შესაბამისად; </p> <p>✓ რეკომენდაციებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება. </p> | <p>დაგეგმილი ღონისძიებების მონიტორინგის გეგმის მომზადება;</p> <p>წლიური ანგარიშის მომზადება;</p> |
| <p>სამეცნიერო ფონდებთან და საგამომცემლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით საკონსულტაციო მომსახურებას;</p> | | | | | | | | | | <p>✓</p> | | |
| <p>სამეცნიერო კვლევითი უნარების ამაღლების მიზნით დარგის უცხოელ და ადგილობრივ მკვლევარებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას;</p> | | | | | | | | | | <p>✓</p> | | |
| <p>სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მატერიალურ-</p> | | | | | | | | | <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;</p> | <p>✓ დაფინანსების კრიტერიუმის განსაზღვრა; </p> <p>✓ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით დაფინანსების ლიმიტის განსაზღვრა; </p> | <p>დადგენილი წესის და შესრულების ვადების შესაბამისად პროცესის მონიტორინგი;</p> | |

| | | | | | | | | | | | | |
|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|--|--|
| <p>ტექნიკური ბაზის განახლება/სრულყოფა</p> | | | | | | | | | | <p>მატერიალური რესურსების დეპარტამენტი;</p> <p>ფაკულტეტის დეკანი;</p> <p>დეპარტამენტის ხელმძღვანელი;</p> | <p>✓ ინფორმაციის წარმოდგენისა და შესრულების ვადების დადგენა; </p> | <p>კმაყოფილების კვლევა - შედეგების ეფექტიანობის დადგენა;</p> <p>წლიური ანგარიშის მომზადება და განხილვა</p> |
| <p>შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების (ახალგაზრდა მეცნიერთათვის) დაფინანსება</p> | | | | | | | | | | <p>✓</p> | | |
| <p>სტუდენტური კვლევითი პროექტების დაფინანსება</p> | | | | | | | | | <p>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;</p> <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> | <p>სტუდენტური კვლევითი პროექტების დაფინანსება მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა; ✓ ბრძანებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან საპროექტო განაცხადის შესაბამისობის დადგენა; ✓ გამარჯვებული პროექტის გამოვლენა; ✓ პროექტის საბოლოო ანგარიშის მომზადება და წარდგენა; | <p>შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი;</p> <p>გამარჯვებული საგრანტო პროექტების მონიტორინგის გეგმის მომზადება;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება</p> | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|
| <p>ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და გამარჯვებულთა დაფინანსება</p> | | | | | | | | | | | | | <p>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;</p> <p>რექტორი;</p> <p>რექტორის მოადგილე;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;</p> | <p>ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და გამარჯვებულთა დაფინანსება მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საკონფერენციო ნაშრომების შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას ✓ საკონფერენციო ნაშრომების შერჩევას ✓ კონფერენციების ბიუჯეტის განსაზღვრას ✓ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის და საკონფერენციო ნაშრომების შემფასებელი კომისიის შექმნას; ✓ კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შეფასება და საუკეთესოს გამოვლენა; | <p>საკონფერენციო ნაშრომების ავტორების დაჯილდოება;</p> <p>კონფერენციაში გამარჯვებულის ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსება;</p> <p>კმაყოფილების კვლევა - შედეგების ეფექტიანობის დადგენა;</p> |
| <p>სამეცნიერო აქტივობის გათვალისწინებით სახელობითი სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობა</p> | | | | | | | | | | | | | <p>რექტორი;</p> <p>რექტორის მოადგილე;</p> <p>სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;</p> | <ul style="list-style-type: none"> ✓ სახელობითი სტიპენდიების ლიმიტების განსაზღვრა; ✓ საფაკულტეტო დონეზე კრიტერიუმის განსაზღვრა, განაცხადის წარდგენის და განხილვის ვადების დადგენა; ✓ საკონკურსო განცხადების და დოკუმენტაციის წარდგენა; ✓ საკონკურსო კომისიის შექმნა; ✓ დადგენილი წესის შესაბამისად კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენა | <p>დადგენილი წესის შესაბამისად სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა და გაცემა</p> |

| | | | | | | | | | | | | | |
|--------------------------------|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|---|--|
| | | | | | | | | | | | <p>საკონკურსო კომისია;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> <p>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;</p> | | |
| სწავლებაში კვლევის ინტეგრირება | | | | | | | | | | | <p>დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;</p> <p>ფაკულტეტის დეკანი;</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელი;</p> <p>დეპარტამენტის ხელმძღვანელი;</p> <p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;</p> | <p>სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების სასწავლო პროცესში ჩართულობას; ✓ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიების სასწავლო პროცესში გამოყენებას; ✓ ბსუ-ს მიერ განხორციელებული ან/და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში სტუდენტების ჩართულობას; ✓ სტუდენტური კვლევითი პროექტების დაფინანსებას; ✓ სამეცნიერო კონფერენციაში სტუდენტთა ჩართულობას; ✓ სხვა სახის სამეცნიერო აქტივობებს. | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|---|
| | | | | | | | | | | | | | რექტორის მოადგილე; | | |
| სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია | | | | | | | | | | | | | რექტორის მოადგილე; საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; სამეცნიერო კვლევების სამსახური; ფაკულტეტის დეკანი; დეპარტამენტის ხელმძღვანელი; | სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, რომელიც მოიცავს: ✓ პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა ურთიერთგაცვლას; ✓ ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების შემუშავებას; ✓ ერთობლივი კვლევითი პროექტების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, პროექტების და საზაფხულო სკოლების ორგანიზებას; ✓ სამეცნიერო ლიტერატურის მომზადება/გაცვლა/გაზიარებას; ✓ ერთობლივი პუბლიკაციების გამოქვეყნებას; ✓ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების გაზიარებას; ✓ სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირებას; | მონაცემთა თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი; წლიური ანგარიშის მომზადება და განხილვა; რეკომენდაციების შემუშავება; |
| კვლევის ეთიკის, კულტურის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ცნობიერების ამაღლება | | | | | | | | | | | | | სამეცნიერო კვლევების სამსახური; რექტორის მოადგილე; | პრევენციის მომზადება და აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან შეხვედრების ორგანიზება, რომელიც მოიცავს: ✓ ინფორმაციას კვლევის ეთიკის შესახებ;  ✓ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ ინფორმაციას; ✓ სამეცნიერო ჟურნალების შესახებ ინფორმაციას დარგის სპეციფიკიდან | კმაყოფილების კვლევა; საინფორმაციო შეხვედრების ეფექტიანობის დადგენა; წლიური ანგარიშის მომზადება; |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|---|--|
| | | | | | | | | | | | | | <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი;</p> | <p>გამომდინარე, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, Google Scholar, ERIH ბაზებში;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული გრანტების შესახებ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალისთვის; ✓ ბსუ-ს მიერ გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო გრანტების შესახებ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალისთვის; ✓ ბსუ-ს პერსონალის ინფორმირება დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციების, ვორკ-შოპების, კონგრესების შესახებ; | |
|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|---|---|--|

მიმართულება:

მოკლე ინფორმაცია მიმართულების შესახებ (მაქსიმუმ 200 სიმბოლო):

- ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევების, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა, საერთაშორისო ბაზების მიერ გამოყენებული c და h ინდექსების შესახებ

| # | სახელი და გვარი | პოზიცია | პუბლიკაციები ¹ | | | | | სამეცნიერო ღონისძიებები ² | | | ციტირების c ინდექსი ³ | | | | h ინდექსი ³ | | | |
|-----|------------------------|--------------|--|----------------|--------|-----------|---------------------------|--------------------------------------|--------|-----------|----------------------------------|--------|-----------|----------------|------------------------|--------|-----------|----------------|
| | | | Web of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | ქრონოლოგიური მიმართულებით | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | Google Scholar | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | Google Scholar |
| 1 | A | პროფესორი | 5 | 3 | 2 | 3 | 0 | 3 | 2 | 0 | 7 | 9 | 15 | | 2 | 2 | 5 | |
| 2 | B | ასოც. პროფ | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 4 | 3 | 8 | | 1 | 1 | 7 | |
| 3 | C | ასისტ. პროფ. | 0 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 | | 0 | 0 | 0 | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ | აბსოლუტური მაჩვენებელი | | 8 | 6 | 7 | 4 | 0 | 5 | 4 | 0 | 12 | 13 | 25 | | 3 | 3 | 12 | |
| | ფარდობითი მაჩვენებელი | | 8/3 | 6/3 | 7/3 | 4/3 | 0 | 5/3 | 4/3 | 0 | 4 | 13/3 | 25/3 | | 1 | 1 | 4 | |
| | | | <p>¹ ერთიდაიგივე სტატუსს ნუ გამოიყენებთ ორჯერ. მაგალითად, თუ სტატუსი ინდექსირებული Web of Science, Scopus და ERIH PLUS-ის ბაზებში, მიუთითეთ მხოლოდ Web of Science-ის შესაბამის სვეტში;</p> <p>² ერთიდაიგივე სტატუსს ნუ გამოიყენებთ ორჯერ;</p> <p>³ c და h ინდექსი მიუთითეთ შესაბამისი ბაზის მონაცემების მიხედვით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ერთიდაიგივე სტატუსზე ციტირება განმეორდეს;</p> | | | | | | | | | | | | | | | |

- ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოეთის კვლევით ცენტრებთან/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ
-
- ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ახალგაზრდა მეცნიერთა/სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის შესახებ

ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება:

1. მიმართულების მიერ საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი სამეცნიერო საქმიანობის სამიზნე ნიშნულები

| სამიზნე ნიშნულები | პუბლიკაციები ¹ | | | | | სამეცნიერო ღონისძიებები ² | | | ციტირების c ინდექსი ³ | | | | h ინდექსი ³ | | | |
|------------------------|--------------------------------------|----------------|--------|-----------|------------------------------|--------------------------------------|--------|-----------|----------------------------------|--------|-----------|----------------|------------------------|--------|-----------|----------------|
| | Web of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | ქართველოლოგიური მიმართულებით | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | Google Scholar | Web of Science | Scopus | ERIH PLUS | Google Scholar |
| აბსოლუტური მაჩვენებელი | 15 | 12 | 3 | 0 | 0 | 15 | 12 | 0 | ? | ? | ? | | ? | ? | ? | |
| ფარდობითი მაჩვენებელი | 5 | 4 | 1 | 0 | 0 | 5 | 4 | 0 | ? | ? | ? | | ? | ? | ? | |

2. მიმართულების მიერ საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი სამეცნიერო საქმიანობის გეგმა

| # | თემა: | | | | | | | | | | | | | | | შენიშვნა | |
|-----|---------|----------|--------------------|--------------|--------------------------------|------|-----|-----|------|-------|-----|-----|-----|-----|--|----------|--|
| | ამოცანა | აქტივობა | მოსალოდნელი შედეგი | შემსრულებელი | საანგარიშო პერიოდი კვარტალურად | | | | | | | | | | | | |
| | | | | | I I | II I | I V | V I | VI I | VI II | I X | X I | X I | V I | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ... | | | | | | | | | | | | | | | | | |

გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული ამოცანის შესაბამისი შედეგი (სტატია, მონოგრაფია, პატენტის სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა);
 არ არის სავალდებულო ყველა ამოცანის შემთხვევაში აღნიშნული სვეტის შევსება. ასევე შესაძლებელია ერთი ამოცანისათვის რამდენიმე შედეგის მითითება;
 დაგეგმილი ამოცანებისა და აქტივობების გასწვრივ "საანგარიშო პერიოდში" მიუთითეთ „+“ ;
 თითოეული საანგარიშო პერიოდი მოიცავს 6 თვეს.

3. საანგარიშო პერიოდში მოსაპოვებელი სამეცნიერო გრანტის/პროექტის სავარაუდო თემატიკა და მოკლე აღწერა (თითოეულზე მაქსიმუმ 500 სიტყვა)